პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი
15 აპრილი
1940 წ.
№ 87 (5788)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში“ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** დაუღალავად ზრუნავენ საკოლმეურნეო წყობის აყვავებაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაფართოებასა და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდაზე. ამ სტალინური მზრუნველობით გამსჭვალულია პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება.

დამზადებისა და შესყიდვის ახალი პრინციპები მდგომარეობს იმაში, რომ ყველა კოლმეურნეობა ვალდებულია ყოველწლიურად ჩააბაროს სახელმწიფოს მეცხოველეობის პროდუქციის — ხორცის, რძის, მატყლის, ბრინჯის, ტყავის ნედლეულის, კვერცხის განსაზღვრული რაოდენობა კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის (სახნავი მიწის, მათ შორის ბაღებისა და ბოსტნების, მდელოებისა და საძოვრების) თვითეული ჰექტარის მიხედვით.

ეს ახალი პრინციპები მდგომარეობს იმაში, რომ, 1940 წლიდან დაწყებული, კოლმეურნეობანი სავალდებულო მიწოდების წესით სახელმწიფოს აბარებენ მარცვალს, ბრინჯს, კარტოფილს, ბოსტნეულს, ზეთოვან კულტურათა თესლს, თივას და ბალახების თესლს — კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის მიხედვით.

კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის დადგენილება გამომდინარეობს იმავე პრინციპიდან, რაც დადგენილება — „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში“. ამ დადგენილებით გაუქმებულია არსებული წესი, რომლის თანახმადაც კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება სწარმოებდა ამ კულტურების თესვის გეგმის მიხედვით. დადგენილებაში ნათქვამია, რომ, 1940 წლიდან დაწყებული, კოლმეურნეობანი სავალდებულო მიწოდების წესით აბარებენ სახელმწიფოს მარცვალსა და ბრინჯს კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ახალი წესი არა მარტო უზრუნველჰყოფს დამზადების სისტემაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, არამედ აძლიერებს კოლმეურნეობათა ინიციატივას და წარმოადგენს მძლავრ ბერკეტს საკოლმეურნეო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეები მხურვალედ მიესალმებიან და იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს.

1940 წლის საგაზაფხულო თესვა და მთელი მუშაობა კოლმეურნეობებში უნდა გაიშალოს პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა საფუძველზე.

საგაზაფხულო თესვა მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ნელი ტემპებით მიმდინარეობს. წელს გაზაფხულზე ამინდის მოულოდნელმა ცვლილებებმა, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია თესვის ტემპებზე, მაგრამ სწორი არ იქნება თესვაში ჩამორჩენა მთლიანად ამინდის ცვალებადობას მივაწეროთ. გაზაფხულის დაგვიანებით დადგომა მოითხოვს თესვის ვადების უფრო შემჭიდროებას. როგორც ჩანს, ბევრგან ამ მდგომარეობიდან ყველა საჭირო დასკვნა არ გაუკეთებიათ.

საქმიწსახკომის ცნობებით, 10 აპრილისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები დათესილი იყო 96.043 ჰექტარზე, გეგმის 18,7 პროცენტი. შარშან კი ამ რიცხვისათვის დათესილი იყო 127.278 ჰექტარი. მიუხედავად იმისა, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა (ხაშური, გურჯაანი, წითელწყარო, ყვარელი, ლაგოდეხი, თბილისი, მცხეთა, ყარაია, ლუქსემბურგი) თავთავიანი მარცვლეულის თესვის გეგმები შეასრულეს, ამ საქმეში მაინც სერიოზული ჩამორჩენაა. თავთავიანი მარცვლეულის თესვის გეგმა 10 აპრილისათვის გორის რაიონში შესრულებული იყო 66,8 პროცენტით, კასპის რაიონში — 78,4 პროცენტით. ეს მაშინ, როცა თესვა 1 აპრილისათვის უნდა დაემთავრებინათ. საგარეჯოს რაიონს ამ რიცხვისათვის დავალება მხოლოდ 69,9 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მრავალწლიანი ბალახების თესვა (გეგმა შესრულებულია 21 პროცენტით), განსაკუთრებით კი ერთწლიანი ბალახებისა — 30.500 ჰექტარიდან დათესილია მხოლოდ 4.508 ჰექტარი.

ჯერ კიდევ სერიოზული გარდატეხა არ მომხდარა შაქრის ჭარხლის თესვაში. 10 აპრილისათვის ჭარხალი დათესილია 3.496 ჰექტარი, გეგმის 63,6 პროცენტი. გორისა და კასპის რაიონებს გეგმა სანახევროდ ჰქონდათ შესრულებული. შაქრის ჭარხლის თესვა კი 20 აპრილისათვის უნდა დამთავრდეს.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გააცნონ კოლმეურნეებს დამზადების პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები და ამ დადგენილებით გამოწვეული კოლმეურნეთა ენტუზიაზმი გამოიყენონ საგაზაფხულო თესვაში არსებული ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსწორებისათვის.

ვ. ი. ლენინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადება ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი მოსკოვში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის. ყოველდღე ათასობით მოსკოველი და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ექსკურსანტი შედის მის ვრცელ და ნათელ დარბაზებში. მუზეუმის გახსნის დღიდან — 1936 წლის 15 მაისიდან — იგი ინახულა 4,5 მილიონზე მეტმა კაცმა. ამჟამად, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 70-წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით, მიმსვლელთა რიცხვი მატულობს. საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მოდის უამრავი განაცხადი ექსკურსიაზე. უკანასკნელი ხუთდღიურის განმავლობაში მუზეუმი 15 ათასზე მეტმა კაცმა ინახულა.

დიდი ინტერესით ეცნობიან მიმსვლელნი მუზეუმის ექსპონატებს, რომელნიც ასახავენ ვ. ი. ლენინისა და მისი დიდი თანამებრძოლის — ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა აღფრთოვანებული ჩანაწერებით. მნახველნი მხურვალე მადლობას უცხადებენ პარტიასა და მთავრობას მუზეუმის — ბოლშევიზმის ამ შესანიშნავი საგანძურისა და სკოლის შექმნისათვის.

მუზეუმს განუწყვეტლივ მოსდის ახალი მასალები. მთელი რიგი ექსპონატები გამოფენილ იქნება ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 70-წლისთავისათვის. მუზეუმის ექსპოზიცია საგრძნობლად შეივსება ამონაწერებით „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“, მასალებით, რომელნიც ფართოდ აშუქებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა შინაარსს.

IV დარბაზში გამოფენილია მხატვარ ალიაკრინსკის აკვარელი „ვ. ი. ლენინი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოში“.

V დარბაზში გამოფენილია ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ამ ცოტა ხნის წინათ ამ დარბაზში გამოფენილ იქნა ამხანაგ სტალინის ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, დაწერილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისათვის“. VII დარბაზის ექსპოზიცია შევსებულია ვ. ი. ლენინის ორი წერილით ინესა არმანდის მიმართ. წერილები დაწერილია 1915 წლის იანვარში იმის საპასუხოდ, რომ ინესა არმანდმა ლენინს გამოუგზავნა გეგმა ბროშურისა მუშა ქალთათვის, რის დაწერასაც არმანდი აპირებდა. ლენინის ეს წერილები უძვირფასესი დოკუმენტია კომუნისტური მსოფლმხედველობისა მშრომელთა ცხოვრების და ყოფაცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ოჯახისა და ქორწინების საკითხები.

IX დარბაზში პირველად იქნება გამოფენილი მხატვარ სერებრიანის სურათი „ვ. ი. ლენინის გამოსვლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს II სრულიად-რუსეთის ყრილობაზე“.

ვ. ი. ლენინის დაბადების 70-წლისთავთან დაკავშირებით, მუზეუმმა მეცნიერ მუშაკთა და ექსკურსიის საუკეთესო ხელმძღვანელთაგან გამოჰყო 30 მომხსენებელი, რომელნიც საწარმოებსა და დაწესებულებებში გამოვლენ მოხსენებებით ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა 127,7 მილიონი ეგზემპლარი

საბჭოთა კავშირში უდიდესი ტირაჟებით არის გავრცელებული ლენინის ნაწარმოებნი. ლენინის ნაშრომებისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ მშრომელები არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. სრულიად-საკავშირო წიგნის პალატის ცნობების თანახმად, ლენინის ნაწარმოებნი სსრ კავშირში გამოცემულია 1917-1939 წლებში 127,7 მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ვლადიმერ ილიას-ძის ნაშრომები ჩვენს ქვეყანაში გამოცემულია 72 ენაზე.

ლენინის ნაშრომები გამოცემულია რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, აზერბაიჯანულ, ქართულ, სომხურ, თურქმენულ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ყაზახურ, ყირგიზულ, კარელურ, ფინურ, ყალმუხურ, ჩუვაშურ და სხვა მრავალ ენაზე.

სსრ კავშირის ათობით ხალხებმა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიიღეს თავიანთი დამწერლობა. ისინი თავიანთ დედაენაზე კითხულობენ ლენინის ნაშრომებს.

ვლადიმერ ილიას-ძის ნაწარმოებნი გამოცემულია ბევრ უცხოურ ენაზე: გერმანულ, ბულგარულ, ჩინურ, ინგლისურ, ლიტვურ, ფრანგულ, ესტონურ, იაპონურ და სხვა ენაზე.

ლენინის ნაშრომები ყოველ წელიწადს იცემა ხელახლად. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ვლადიმერ ილიას-ძის ნაშრომები: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, გამოვიდა 23 ენაზე 2,39 მილიონი ცალი ტირაჟით, „სახელმწიფო და რევოლუცია“, — გამოიცა 18 ენაზე 2,12 მილიონი ცალი ტირაჟით, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგ“? — დაბეჭდილია 13 ენაზე 2 მილიონზე მეტი ცალი ტირაჟით, და სხვ. (საქდესი).

ორგანიზებულად ჩავატაროთ „ტყის დღე“

თვალუწვდენელი და მდიდარია ჩვენი სამშობლო. მის სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტყეებს. საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიის 735 მილიონი ჰექტარი ფართობი ტყეებით არის დაფარული. თუ მსოფლიოს ერთ მცხოვრებზე 1,2 ჰექტარი ტყე მოდის, საბჭოთა კავშირის ერთ მცხოვრებზე მოდის 3,7 ჰექტარი. ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რა განუზომელია ჩვენი ქვეყნის სატყეო მრეწველობის რეზერვები და შესაძლებლობანი.

მეტად დიდია ტყეების სამეურნეო-ეკონომიური, თავდაცვითი, საკურორტო, წყალშენახვითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკის განვითარებამ კაცობრიობას მისცა მთელი რიგი ახალი სამშენებლო მასალები, მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაზე (მერქანი) არა თუ არ შემცირდა, არამედ დიდად გაიზარდა.

ორდენოსანი საქართველოს რესპუბლიკაც, რომელიც საბჭოთა კავშირის მარგალიტს წარმოადგენს, მდიდარია შესანიშნავი ჯიშის ტყეებით. ჩვენი რესპუბლიკის ტყეები ქვეყანას აძლევენ ძვირფას სამშენებლო და თავდაცვითს მასალებს. ის ფაქტი, რომ საქართველოს კურორტები ითვლებიან ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო კერებად, უმთავრესად და პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ საქართველოში არის საუცხოო ტყეები.

ყველაფერი ეს გვავალებს გავუფრთხილდეთ ტყეებს, დავიცვათ ისინი, მოვუაროთ მათ, გავაშენოთ ტყის ახალი მასივები. ამხანაგმა **კ. ნ. ჩარკვიანმა** საქართველოს ბოლშევიკთა XIII ყრილობაზე ამოცანად დაგვისახა: „სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ევალება არა მარტო ტყეების ექსპლოატაცია და ხე-ტყის სახერხი და ხის დამმუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელობა, არამედ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც — სატყეო-კულტურულ სამუშაოთა განხორციელება, ტყის ახალი ძვირფასი მასივების გაშენება, აგრეთვე ბუნებრივი ტყეების დაცვა და მოვლა“.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობამ ახალი საბრძოლო ამოცანები დაუსახა სატყეო მრეწველობის მუშაკებს.

ტყეების დაცვის, ახალი ტყეების გაშენების, ქალაქების, რაიონული ცენტრების, საწარმოო ობიექტების და სხვ. გამწვანების, აგრეთვე ტყის უდიდესი მნიშვნელობის საბჭოთა საზოგადოებრიობაში პოპულარიზაციისათვის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით 15 აპრილიდან 1 მაისამდე საბჭოთა საქართველოში ტარდება „ტყის დღე“.

„ტყის დღის“ წარმატებით ჩასატარებლად ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა. ადგილებზე გამოძებნეს ნაკვეთები, სადაც უნდა გაშენდეს ახალი ტყეები, დაამზადეს ორმოები, შეარჩიეს და მოიმარაგეს სანერგეები. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მოაწყეს მუშაობა ფოთის, ლუქსემბურგის, თელავის, ყარაიას, თბილისისა და ქუთაისის სატყეო მეურნეობებმა. ფოთის სატყეო მეურნეობა ძირითად სამუშაოს ჩაატარებს კურორტ მალთაყვაზე, სადაც გაშენებული იქნება ევკალიპტის, ზღვის ფიჭვის, აკაციის და სხვ. ძვირფასი ჯიშები.

მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარება, ახალი ნაკვეთების გამოძებნა, დარგვის კარგი ორგანიზაცია და ახალი ნარგავების დაცვა — აი „ტყის დღის“ ჩატარების ძირითადი მომენტები.

„ტყის დღის“ ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიულმა და კომკავშირის ორგანიზაციებმა, საბჭოებმა. კერძოდ ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლია ლენინურ კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას. გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ფერგანელთა მდიდარი გამოცდილება, რომელშიც მოცემულია სახალხო ინიციატივის, შემოქმედებისა და ენტუზიაზმის დაუშრეტელი შესაძლებლობანი.

„ტყის დღესთან“ დაკავშირებით ადგილებზე ჩატარდება მოხსენებები და ლექციები ტყის მნიშვნელობაზე, გამოვა სპეციალური ნომერი რესპუბლიკური ნაბეჭდი გაზეთისა სახელწოდებით „ტყის დღე“. ამ დღეებში საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში ჩატარდა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც ამხილეს არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი „ტყის დღის“ წარმატებით ჩატარებისათვის.

ორგანიზებულად და სანიმუშოდ ჩავატაროთ „ტყის დღე“ — ასეთია ამოცანა.

ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება ჩაის კრეფის სანიმუშოდ ჩატარებისათვის

ქობულეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა წევრების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა მიმართვა

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს, სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენს წინაშე ამოცანად დასახა — სხვა ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად უზრუნველვყოთ ჩაის კულტურის შემდგომი დიდი აღმავლობა. ბოლშევიკური პარტია და პირადად ხალხთა ბელადი, ჩვენი მშობლიური დიდი **სტალინი** განსაკუთრებულ მზრუნველობას და ყურადღებას იჩენენ ჩაის კულტურის ფართოდ განვითარებისადმი. ეს გვავალებს ვიმუშაოთ კიდევ უფრო უკეთესად და მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს ჩაის მეტი პროდუქცია.

მტკიცედ ახორციელებდნენ რა ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მითითებას ჩაის თვითეული ბუჩქისადმი ინდივიდუალური მზრუნველობის შესახებ, საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ჩაის პლანტაციების ფართობისა და მოსავლიანობის ზრდის, აგრეთვე ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში საუცხოო წარმატებები მოიპოვეს. „ახლა ჩვენ გვაქვს საკუთარი ჩაი, ამასთან ჩვენი ჩაი ისეთივეა, უფრო უკეთესი და უფრო გემრიელიც, ვინაიდან ეს არის საბჭოთა ჩაი, ჩვენი მშობლიური ჩაი და არა საზღვარგარეთული“ **(ა. მიქოიანი).**

პარტიისა და დიდი სტალინის საბრძოლო დავალება იმის შესახებ, რომ ძირითადად უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქართველოს ჩაით, ჩვენგან მოითხოვს შემდგომ ყოველდღიურ ზრუნვას ჩაის კულტურისადმი.

ვემზადებოდით რა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 3.470 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, კერძოდ 1939 წელს — 3.660 კილოგრამი. კოლმეურნეობებში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.868 კილოგრამი, 1939 წელს — 3.911 კილოგრამი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა კი მიიღეს გაცილებით მეტი.

შარშან ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს 7.981.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარეს. 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მაჩვენებელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის და სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული შესანიშნავი წარმატებებისათვის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა პირველი და მეორე ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა ქობულეთის რაიონის 6 საბჭოთა მეურნეობა და 7 კოლმეურნეობა. კერძოდ, ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა საპატიო ნიშნის ორდენით. მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლისა და გამოფენაზე მიღებული მდიდარი გამოცდილების დანერგვის შედეგად 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატთა რაოდენობა ერთიორად და კიდევ მეტად გაიზარდა.

გადაჭარბებით ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის დავალებებს ჩაის დარგში, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ყოველწლიურად ზრდიან თავიანთ შემოსავალს, თავიანთ შეძლებულობას. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 20.161.000 მანეთი მარტო ფულადი შემოსავალი მიიღეს, — 4.347.589 მანეთით მეტი, ვიდრე 1937 წელს. თვითეულ შრომადღეზე ფულად საშუალოდ რაიონში 8 მანეთი გაიცა და წინა წელთან შედარებით 70 პროცენტით გაიზარდა თვითეულ შრომადღის ანაზღაურება პროდუქტებით.

1940 წელს საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. მათ წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 51.114.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან კერძოდ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა — 8.553.000 კილოგრამი, საშუალოდ 3.911 კილოგრამი ჰექტარზე. ეს გეგმა სავსებით რეალურია და მისი წარმატებით შესრულება დამოკიდებულია ჩვენზე, ცოცხალ ადამიანებზე, იმაზე, თუ რამდენად უკეთესად მოვაწყობთ შრომას, კიდევ უფრო განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, მტკიცედ დავიცავთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, დავნერგავთ მოწინავე აგროტექნიკას, სანიმუშოდ მოვუვლით ჩაის თვითეულ ბუჩქს და უდანაკარგოდ ჩავატარებთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში დაგვისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა ურყევად გატარება უზრუნველჰყოფს ჩაის დარგში საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებას. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. ჩარკვიანმა** ამ ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში მიგვითითა: „ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებასთან ერთად გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ ჩაის ბუჩქის მოვლის საქმე. მთლიანად უნდა იქნას შესრულებული დავალებები სასუქის შეტანის დარგში. დროულად უნდა ჩატარდეს ჩაის პლანტაციების გადაბარვა და გათოხნა. ბოლოს უნდა მოვუღოთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ზოგიერთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სარეველა ბალახები ჰფარავენ ჩაის ბუჩქს. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სადრენაჟო ქსელის დროულ რემონტსა და გაწმენდას, აგრეთვე ახალი სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებას იმ პლანტაციებზე, რომლებსაც ეს სჭირდებათ“.

ჩაის კრეფის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფას. სანიმუშოდ მოვემზადოთ ჩაის კრეფისათვის და მივიღოთ მაღალი მოსავალი — ეს იმას ნიშნავს, რომ დროულად და ხარისხოვნად შევასრულოთ ყველა სახის სამუშაო ჩაის პლანტაციებში, დავაზუსტოთ გამომუშავების ნორმები, საკმაო რაოდენობით მოვიმარაგოთ კალათები, გოდრები, სასწორები, შევაკეთოთ სასოფლო და საპლანტაციო გზები, წესრიგში მოვიყვანოთ მიმღები პუნქტები, პლანტაციებში მოვაწყოთ ფარდულები და ჩაის კრეფის გეგმა გავაცნოთ თვითეულ ბრიგადას, რგოლს, კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშას.

ჩაის კრეფის მზადებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის რგოლურ ორგანიზაციას. აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს ჩვენ დღემდე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. 1940 წელს კი საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყველა კოლმეურნეობაში, ჩაის კრეფის დაწყებამდე მაინც, მოვაწყოთ მუდმივი რგოლები, მივამაგროთ მათ პლანტაციების განსაზღვრული რაოდენობა, საწარმოო საშუალებები და ამით კიდევ უფრო წავახალისოთ კოლმეურნეები მაღალი და მყარი მოსავლის მიღებისათვის.

ჩვენ, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები, ვებმებით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვკისრულობთ ვალდებულებას სანიმუშოდ მოვემზადოთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის და გადამეტებით შევასრულოთ ჩაის კრეფის 1940 წლის სახელმწიფო გეგმა, ახალი წარმატებებით შევხვდეთ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს, სპეციალისტებს და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1940 წლის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. დარწმუნებული ვართ ჩვენს ამ ინიციატივას ისინი მხარს დაუჭერენ.

მივცეთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაი, უზრუნველვყოთ ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირი საკუთარი, მშობლიური ჩაით.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას**.

გაუმარჯოს ხალხთა მამასა და მასწავლებელს, დიდ **სტალინს**!

მიმართვა მიღებულია სოფ. ჩაისუბნის ლენინის სახელობის, სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის, სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის, სოფ. ზემოდაგვის ვოროშილოვის სახელობის, სოფ. ალამბრის ანდრეევის სახელობის, სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის, ქობულეთის ბერიას სახელობის, ქაქუთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებისა და ოჩხამურის სტალინის სახელობის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობისა და ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა საერთო კრებებზე. (მიმართვას ხელს აწერს 601 კაცი).

ვ. ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

გუშინ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. დარბაზში თავი მოიყარეს მწერლებმა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებმა, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველებმა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძე**, ორდენოსანი მწერლები: **ა. მაშაშვილი, გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია**, სსრკ სახალხო არტისტი ორდენოსანი **ა. ვასაძე**, საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. **ბ. გოგუა**, ორდენოსანი აკადემიკოსი **ი. ბერიტაშვილი**, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი პროფ. **გ. ახვლედიანი**, პროფ. **ს. დანელია** და სხვ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ორდენოსანმა პოეტმა **ა. მაშაშვილმა**.

— დღეს მთელი საბჭოთა კავშირი აღნიშნავს რევოლუციის უდიდესი პოეტის მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავს, — სთქვა ამხანაგმა ა. მაშაშვილმა. — მისი ღვაწლი და დამსახურება საბჭოთა ხალხის წინაშე, ჩვენი ლიტერატურის წინაშე უსაზღვროა. მთელი თავისი ნიჭით, მთელი თავისი პოეტური გზნებით უმღერდა რევოლუციას, სოციალისტურ მშენებლობას. განსაკუთრებით უყვარდა მას საბჭოთა საქართველო და ქართველი ხალხი.

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ამხ. მაშაშვილი წინადადებისათვის სიტყვას აძლევს პოეტ რ. გვეტაძეს.

მისი წინადადებით კრებას საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშის გრიალში აირჩიეს ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი**, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი **მოლოტოვი**, ამხ. **ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ხრუშჩოვი, ჟდანოვი, მიქოიანი, ლავრენტი ბერია, შვერნიკი, კ. ჩარკვიანი** და **ვ. ბაქრაძე**.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მწერალი-კრიტიკოსი ამხ. **ბ. ჟღენტი**.

საქ. სსრ სახალხო არტისტმა, ორდენოსანმა **შალვა დადიანმა** თავის სიტყვაში აღნიშნა ის სულიერი კავშირი, რომელიც მაიაკოვსკის ჰქონდა ქართველ ხალხთან.

საინტერესო მოგონებებით მაიაკოვსკის შესახებ გამოვიდნენ ორდენოსანი პოეტი **გ. ლეონიძე**, ორდენოსანი მწერალი **დ. შენგელაია**, პოეტები **მარიჯანი, რ. ივნევი**. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა პროფ. **ს. დანელიამ**, ხელოვნების მუშაკთა სახელით სსრკ სახალხო არტისტმა ორდენოსანმა **ა. ვასაძემ**, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის სახელით პროფ. **გ. ახვლედიანმა**.

ორატორებმა ერთხმად აღნიშნეს მაიაკოვსკის დიდი დამსახურება მშობლიური საბჭოთა ლიტერატურის წინაშე და ის დიდი გავლენა, რაც მის პოეზიას აქვს მსოფლიო რევოლუციურ მწერლობაზე.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, მსახიობებმა და სახ. ოპერის მომღერლებმა.

კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე რიგგარეშე სესია

პეტროზავოდსკი, 13 აპრილი (საქდესი). დღეს პეტროზავოდსკში შესდგა კარელიის ასსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე რიგგარეშე სესია.

სესიამ დილის სხდომაზე მოისმინა კარელიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გორბაჩევის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებაზე კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ილაპარაკეს იმ დიდი სიხარულის შესახებ, რომლითაც კარელ-ფინელი ხალხი შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ბრძნულ კანონს კარელიის ასს რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

საღამოს სხდომაზე სესიამ ერთხმად მიიღო კანონი კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

შემდეგ სესიამ ერთსულოვნად მიიღო კანონი კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. ეს კანონი კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღედ 1940 წლის 16 ივნისს აწესებს.

სესიამ მიიღო აგრეთვე კანონი საკონსტიტუციო კომისიის არჩევის შესახებ; ეს კომისია შეიმუშავებს კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტს.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვრის სადემარკაციო შერეული კომისიის მუშაობის შესახებ

ფინეთის რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე, საზავო ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, შეიქმნა სსრ კავშირისა და ფინეთის ცენტრალური შერეული სასაზღვრო კომისია.

საბჭოთა მთავრობამ აღნიშნულ შერეულ სასაზღვრო კომისიაში დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დივიზიის მეთაური ამხ. ა. მ. ვასილევსკი (საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე), დივიზიის მეთაური ამხ. ვ. დ. ივანოვი, პოლკოვნიკი ა. ს. ივილოვი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ი. ვ. მაევსკი.

ფინეთის მთავრობამ თავის მხრივ დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორი ბონსდორფი, ყოფილი მინისტრი ჰაქსელი, გენერალი აპელგრენი და პოლკოვნიკი ამინოფი.

სსრ კავშირისა და ფინეთის ცენტრალურმა შერეულმა სასაზღვრო კომისიამ, რომელიც ამ დღეებში ქ. ვიბორგში შეიკრიბა, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში დააზუსტა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სახელმწიფო საზღვარი, შეადგინა ამ საზღვრის დაწვრილებითი აღწერა და დაადგინა მისი დემარკაციის წესი.

საქდესი უარყოფს

ინგლისის რეიტერის სააგენტო, იმოწმებს რა გაზეთ „აფტონბლადეტის“ კაუნასელი კორესპონდენტის ცნობას, ავრცელებს ცნობას, რომ გერმანიის მოსკოველმა ელჩმა მიმართა ამხ. მოლოტოვს თხოვნით, ნება დაერთო გერმანიისათვის გამოეყენებინა მურმანსკი და მურმანსკის რკინიგზა გერმანიის ჯარის ნორვეგიაში გადასაყვანად და რომ საბჭოთა მთავრობამ უარჰყო ეს თხოვნა. საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ რეიტერის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან გერმანიას სსრ კავშირისათვის ასეთი თხოვნით არ მიუმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ბერლინი, 13 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა ქრისტიანსანდიდან წინ წაიწია და ქალ. ჰეგელანდს მიაღწია. ნორვეგიის ჯარის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

○

ბერლინი, 13 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ტრონჰეიმსა და შვეციას შორის სარკინიგზო მიმოსვლა ორივე მიმართულებით ნორმალურად სწარმოებს.

○

ნიუ-იორკი 13 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობით, ნორვეგიის არმიის შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: ოსლო-ფიორდში ჩაძირულია გერმანიის სახაზო გემი „გნაიზენაუ“, კრეისერი „ემდენი“ და რამდენიმე პატარა ხომალდი. ჩაძირულია აგრეთვე ნორვეგიის რამდენიმე გემი. შემდეგ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ თავდაცვის ნორვეგიის ხაზი გადის ნისენზე, მდინარე გლომაზე, ეიერენზე, რომერიკზე, ჰიტედალზე, ფიორდ ტიურსა და ფუკენსუნდზე.

○

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ არსებული ცნობებით, საფრანგეთის ფლოტის 20-მდე სამხედრო გემი მონაწილეობას იღებს ინგლისის ფლოტის მიერ ნორვეგიის სანაპიროებთან წარმოებულ ოპერაციებში.

○

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე ნორვეგიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ: „ინგლისის ფლოტი ნორვეგიის წყლებში განაგრძობს ოპერაციებს მტრის წინააღმდეგ. გუშინ ინგლისის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებმა ყუმბარა დაუშინეს ბერგენში მყოფ მტრის სამხედრო ხომალდებს, ტრანსპორტსა და საომარი მასალით დატვირთულ გემებს. განადგურებულია სამხედრო საწყობი, ტყვიამფრქვევი დაუშინა სანაღმო კატარღას. ამინდის პირობები მეტად არახელსაყრელი იყო, რის გამოც ერთი ჩვენი თვითმფრინავი იძულებული გახდა ზღვაზე დაშვებულიყო. დანარჩენი თვითმფრინავები მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში“.



○

ბერლინი, 13 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნარვიკის რაიონში მოქმედმა გერმანიის ჯარმა დაიკავა ნარვიკიდან შვეციის საზღვრისაკენ მიმავალი გზების მეტი ნაწილი.

○

ბერლინი, 13 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო, იმოწმებს რა ამერიკის რადიოს ცნობას, იუწყება, რომ ინგლისის 8 ათასი ტონა წყალწყვის კრეისერი „იორკი“ გერმანიის ყუმბარმტყორცნების თავდასხმის გამო ჩაიძირა ტრონჰეიმის მახლობლად.

○

ნიუ-იორკი, 13 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინგლისის რადიოსადგურმა სტოკჰოლმიდან მიიღო ნორვეგიის უმაღლესი სარდლობის შემდეგი კომუნიკე: „გერმანელები იკავებენ ოსლოსა და მის მიდამოებს. ნორვეგიელები გამაგრდნენ ოსლოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. გერმანელების კონტროლშია ქრისტიანზანდი, სტავანჰერი, ბერგენი, ტრონჰეიმი და ნორვეგიის სამხრეთი ნაწილის სხვა ორი სანაპირო პუნქტი. სამხრეთ ნორვეგიის დანარჩენი ნაწილი ნორვეგიელებს უკავიათ. გერმანელებს უკავიათ ნარვიკი, ნორვეგიელებს ნარვიკის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ტერიტორია“.

სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიელებს აუფეთქებიათ სამხრეთისაკენ მიმავალი ყველა რკინიგზის ხაზი და ხიდი. ნორვეგიის ჯარი თავს იყრის სკარნესის რაიონში. გერმანიისა და ნორვეგიის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს ასკიმის რაიონში, 27 მილზე ოსლო-ფიორდის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ჩერჩილის გამოსვლა

ლონდონი, 12 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება თემთა პალატაში ჩერჩილის მიერ წარმოთქმული გუშინდელი სიტყვის შინაარსს.

ჩერჩილმა, უსაყვედურა რა ნორვეგიის მთავრობას იმის გამო, რომ იგი „ერთობ მტკიცედ იცავდა ნეიტრალიტეტს და კონფიდენციალური ურთიერთობა არ დაამყარა ინგლისთან წინდაწინ“, განაცხადა, რომ მოკავშირენი „მაქსიმალურ დახმარებას“ გაუწევენ ნორვეგიას.

შემდეგ ჩერჩილი დაწვრილებით შეჩერდა ჩრდილოეთის ზღვაში გამართულ უკანასკნელ საზღვაო ბრძოლებზე.

7 აპრილს მიღებულ იქნა ცნობა, რომ გერმანიის სახაზო გემი მთელ რიგ კრეისერებთან და საესკადრო ნაღმოსნებთან ერთად სწრაფად მიიწევს ჩრდილოეთისაკენ. ინგლისის ფლოტის მთავარსარდალმა უბრძანა გემებს გასულიყვნენ ზღვაში, რათა აღმოეჩინათ მტერი.

იმავდროულად ინგლისის ძლიერი სამხედრო-საზღვაო ძალები ნარვიკისაკენ გავიდნენ, რათა ჩაეწყოთ ნაღმები. ნაღმები ჩაწყობილ იქნა 8 აპრილს გათენებისას. ამის შემდეგ ნაღმის ჩამწყობმა გემებმა დასტოვეს ნორვეგიის წყლები. საესკადრო ნაღმოსანი „გლოუვორმი“ რამდენადმე ჩამორჩა მთავარ ძალებს და 8 აპრილს, დილით, 8 საათზე მან შეამჩნია მტრის 2 საესკადრო ნაღმოსანი, რომლებსაც ბრძოლა გაუმართა. „გლოუვორმი“, როგორც სჩანს, ჩაძირულია. მას შემდევ ბრძოლა მთელი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდება განუწყვეტლივ.

9 აპრილს,—სთქვა შემდეგ ჩერჩილმა, — ჩვენი ფლოტის წინააღმდეგ, რომელიც სამხრეთისაკენ მიდიოდა, დაახლოებით ბერგენის განედზე არაერთხელ მიიტანა იერიში გერმანიის ავიაციამ. 2 კრეისერი მსუბუქად დაზიანდა, მაგრამ მწყობრიდან არ გამოსულა. ერთი მძიმე ყუმბარა მოხვდა საფლაგმანო გემ „როდნეის“, ყუმბარის აფეთქებისაგან დაშავდა 4 ოფიცერი და 3 მატროსი, რომლებიც დაიჭრნენ. კრეისერი „ავრორა“ 5-ჯერ იქნა ბომბარდირებული, მაგრამ უშედეგოდ. საესკადრო ნაღმოსანი „გურკჰა“ სერიოზულად დაზიანდა და ჩაიძირა. ეკიპაჟი გადარჩენილია. ნაღმოსანმა „ზულუმ“ ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავი ორკნეის კუნძულების მახლობლად.

9 აპრილს გათენებისას სახაზო კრეისერმა „რინაუნმა“, რომელიც ნარვიკის მახლობლად იმყოფებოდა, შეამჩნია გერმანიის სახაზო გემი „შარნჰორსტი“ და გერმანიის კრეისერი 10 ათასი ტონა წყალწყვისა. „რინაუნმა“, რომელიც 18 ათასი იარდის მანძილზე იმყოფებოდა სროლა აუტეხა მათ. 9 წუთის შემდეგ „რინაუნზე“ შეამჩნიეს, რომ ყუმბარები მოხვდა გერმანიის სახაზო გემს. გერმანიის კრეისერმა გაუშვა კვამლის საფარი და დაიფარა დაზიანებული სახაზო გემი. „მწუხარებით უნდა აღვნიშნო, — განაცხადა ჩერჩილმა,—რომ გერმანიის გემებმა შესძლეს წასვლა“.

შემდეგ ჩერჩილმა ილაპარაკა იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ინგლისისა და გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებს შორის გაიმართა ნარვიკში და საერთოდ განიმეორა ჩემბერლენის განცხადება, რომელიც მან თემთა პალატაში გააკეთა. 10 აპრილს, განაგრძობდა ჩერჩილი, ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მტრის გემებს. ორმა ესკადრილიამ, რომელთაგან თვითეულში 12 თვითმფრინავი შედიოდა, იერიში მიიტანა გერმანიის 2 კრეისერზე ბერგენში. ერთ კრეისერს ყუმბარა მოხვდა. 10 აპრილს საღამოს ორკნეის კუნძულებიდან გაფრენილმა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ბერგენში მეორე კრეისერზე, რომელსაც 3 მძიმე ყუმბარა მოხვდა. 16 თვითმფრინავიდან ბაზაში დაბრუნდა 15 თვითმფრინავი. რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის საზვერავმა თვითმფრინავმა ვერ იპოვნა კრეისერი იმ ადგილას, სადაც მან ბომბარდირება განიცადა, და წყლის ზედაპირზე შეამჩნია ნავთის ნიშნები.

11 აპრილს 18 ტორპედმტყორცნმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა გერმანიის გემებზე ტრონჰეიმში, აქ აღმოაჩინეს მხოლოდ საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც ტორპედირებულ იქნა.

დასასრულ, ჩერჩილმა განაცხადა, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მას მოეპოვება, ინგლისის ფლოტმა ჩასძირა გერმანიის 4 კრეისერი, რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და წყალქვეშა ნავი. სკაგერაკისა და კატეგატის სრუტეებში დიდი სამხედრო-საზღვაო ოპერაციები სწარმოებს.

ჩერჩილმა აგრეთვე განაცხადა, რომ ინგლისი ახდენს ოკუპაციას დანიის კუთვნილი ფარერის კუნძულებისა, რომლებსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. რაც შეეხება ისლანდიას, განაცხადა მან, „ეს საკითხი შემდგომ განხილვას მოითხოვს“. (საკდესი).

გენიალური რუსი მეცნიერი — მ. ვ. ლომონოსოვი

(გარდაცვალების 175 წლისთავის გამო)

მეცნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის, რომლებმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს ბუნების საიდუმლოებათა გამოცნობას, ადამიანის შეიარაღებას ბუნების დამორჩილებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში, ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის გენიალურ რუს მეცნიერს მ. ვ. ლომონოსოვს.

○

მიხეილ ვასილის-ძე ლომონოსოვი დაიბადა 1711 წელს შორეულ ჩრდილოეთში, ყოფილი არხანგელსკის გუბერნიის სოფ. დენისოვკაში (ქ. არხანგელსკის ახლო) პომორის ოჯახში. ათ წლამდე თავის სოფელში იზრდებოდა. შემდეგ კი, 19 წლამდე, მამას დაჰყვებოდა თევზის სარეწაოებზე. 1730 წლის დამლევს ლომონოსოვი სტოვებს მშობლიურ სახლს და მიდის მოსკოვში. აქ ის შედის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში.

ცოდნას მოწყურებულმა ახალგაზრდამ გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი სწავლას და სამი წლის კურსი ერთ წელიწადში დაამთავრა.

1736 წელს ლომონოსოვი სრულიად მოულოდნელად მოხვდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. თავისი ნიჭით მან იქაც მიიქცია ყურადღება. იმავე წელს ლომონოსოვი ორ სხვა სტუდენტთან ერთად სამთო საქმის შესასწავლად გაგზავნეს გერმანიაში.

ლომონოსოვი ჯერ ქ. მარბურგში ხრისტიან ვოლფის—იმ დროის გამოჩენილი ფილოსოფოსისა და ბუნებისმეტყველის ხელმძღვანელობით სწავლობდა მათემატიკას, მექანიკას, ფიზიკას, ქიმიას, ფილოსოფიას, ლოგიკას.

1739 წელს რუსი სტუდენტები გადადიან ფრეიბურგში, სადაც ი. ფ. გინკელთან სამთო საქმე და მეტალურგია უნდა შეესწავლათ. 1740 წელს ლომონოსოვმა დასტოვა ფრეიბურგი და მრავალი თავგადასავლის შემდეგ, 1741 წლის ზაფხულზე დაბრუნდა პეტერბურგში.

○

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ლომონოსოვმა საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა. რუსეთში დაბრუნდა უკვე როგორც მომწიფებული მეცნიერი, მოწყურებული თავისი ცოდნა და ნიჭი მოეხმარებია მშობლიური ქვეყნის მეცნიერების აყვავებისა და განვითარებისათვის. მეტად მძიმე პირობები დაუხვდა მას მუშაობისათვის. მიუხედავად ამისა ლომონოსოვს მეოთხედი საუკუნის მანძილზე მაღლა ეჭირა მეცნიერების დროშა და მთელი ძალღონით და სიყვარულით ემსახურებოდა მას.

ლომონოსოვი იყო მეცნიერების გიგანტი. მთელ რიგ თავის გამოჩენილ წინამორბედთა—ლეონარდო და-ვინჩის, ნიუტონის, ეილერისა და სხვ. მსგავსად, ის გვაოცებს თავისი ნიჭის მრავალფეროვანებით და სიღრმით.

ფიზიკისა და ქიმიის, გეოლოგიის, მეტეოროლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ეკონომიკის, ასტრონომიის, ჩრდილოეთის გზით დიდ ოკეანეში გასვლის, ლიტერატურული ენის და სხვა უამრავი საკითხი—ერთნაირის ცოდნითა და სიღრმით არის გარჩეული მის შრომებში და წერილებში.

სითბოსა და სიცივის ბუნების შესახებ შრომაში ლომონოსოვი სითბოს მიზეზად, ნაცვლად განსაკუთრებული „სითბური ნივთიერებისა“ — „სითბომბადისა“, — თვლის სხეულთა წილაკების ბრუნვითს მოძრაობას. ამავე შრომაში ის იცავს იდეას, რომ შეუძლებელია მოძრაობის არსებობა უმატერიოდ. ლომონოსოვი ანვითარებს შეხედულებებს, რომლებიც ფეხს იკიდებს მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისელი მეცნიერი ვილიამ ტომსონი ჰქმნის „ტემპერატურათა აბსოლუტურ სკალას“. ასი წლით ადრე კი მ. ვ. ლომონოსოვი ასაბუთებს სითბოს ზედა ზღვარის არარსებობისა და აბსოლუტური ნულის იდეას. აკადემია დიდი ხნის განმავლობაში აყოვნებდა ამ შრომის გამოქვეყნებას, ვინაიდან ლომონოსოვის შეხედულებები სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ავტორიტეტებად მიჩნეული მეცნიერების შეხედულებებს.

სითბოს განსაკუთრებული „მატერიის“ კრიტიკის საფუძველზე ლომონოსოვი თანდათანობით ანვითარებს სითბოს მოლეკულურ-კინეტიკურ თეორიას.

არა ნაკლებ საინტერესოა მისი შრომები ელექტრობისა და სინათლის თეორიის დარგში.

ლომონოსოვი თავის მეგობარ აკადემიკოს რიხმანთან ერთად აწარმოებს მრავალრიცხოვან ცდებს ელექტრული მოვლენების შესასწავლად და ამუშავებს ატმოსფერული ელექტრობის თეორიას.

ლომონოსოვი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მრავალრიცხოვანი ცდების საფუძველზე—შექმნა ნივთიერების მარადისობის კანონი,—მთელი თანამედროვე ქიმიის საფუძველი.

ამრიგად, რამდენიმე ათეული წლით ადრე ლავუაზიემდე, რომელსაც ამ კანონის ავტორად თვლიდნენ, ლომონოსოვმა არა თუ აღმოაჩინა ბუნების ეს კანონი, არამედ კიდეც სარგებლობდა მით.

ექვსი წლის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ლომონოსოვმა როგორც იქნა მიიღო საჭირო თანხები ქიმიური ლაბორატორიის მოსაწყობად, რომელიც 1748 წელს დამთავრდა. ეს იყო პირველი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც ლომონოსოვი არა მარტო მეცნიერულ გამოკვლევებს ატარებდა, არამედ სტუდენტებსაც ამზადებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ლომონოსოვმა ლავუაზიემდე ბევრად ადრე შემოიღო ქიმიაში რაოდენობრივი მეთოდები.

ლომონოსოვმა შეიმუშავა ფიზიკური ქიმიის შექმნის ვრცელი პროგრამა, რომლის განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ მოასწრო. ამრიგად ლომონოსოვი პირველი ფიზიკოს-ქიმიკოსიც იყო.

ამით როდი ამოიწურება ლომონოსოვის მრავალმხრივი მოღვაწეობა. ლომონოსოვი ასევე დიდი და გენიალური იყო, როგორც გეოგრაფი, გეოლოგი, ასტროფიზიკოსი, პოეტი და ფილოლოგი.

ლომონოსოვის მეცნიერულმა იდეებმა, რომლებმაც თითქმის საუკუნეზე მეტით გაუსწრო თანადროულობას, სათანადო დაფასება და გამოძახილი ვერ ჰპოვა არა თუ მაშინდელ რუსეთში, არამედ დასავლეთშიც. ლომონოსოვის სიკვდილის შემდეგ საუკუნის მანძილზე, ხან ერთი და ხან მეორე მეცნიერი „აღმოაჩენდა“ ლომონოსოვის მიერ დიდიხნით ადრე აღმოჩენილ კანონებს და დიდებითა და პატივით სარგებლობდა ამ აღმოჩენებისათვის.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგად საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში მეცნიერებისათვის ნამდვილი ოქროს ხანა დადგა. ასობით მილიონები იხარჯება მეცნიერულ-კვლევითი მუშაობაზე. ჩვენი სამეცნიერო მუშაკებისათვის უზრუნველყოფილია პარტიისა და მთავრობის ყოველმხრივი და ყოველდღიური დახმარება, მეცნიერების უდიდესი მოამაგის ამხანაგ სტალინის მამობრივი მზრუნველობა.

ამიტომაა, რომ ლომონოსოვი ღირსეულად დაფასდა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში. ამიტომ არის, რომ მთელი საბჭოთა ქვეყანა ღირსეულად აღნიშნავს გენიალური რუსი მეცნიერის გარდაცვალების 175 წლისთავს.

ე. ტულაძე.

მდგომარეობა ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 13 აპრილი (საკდესი). ნორვეგიის ჯარის ერთი ნაწილი კვლავ წინააღმდეგობას უწევს გერმანიის არმიას. ოსლოდან აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ყველა გზა დახურულია. ამჟამად ნორვეგიელები ცდილობენ წრე შემოარტყან ოსლოს. გაზეთი „აფტონბლადეტ“ სწერს, რომ სკარნესა, ეიდოვოლდსა და ეორმზუნდს შორის მდებარე რაიონში გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს. კონგსვინჰერიდან ნორვეგიის ჯარს დიდი მაშველი ძალა გაეგზავნა. მიმდინარეობს კონგსვინჰერის სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია. ელვერუმის მეორეჯერ ბომბარდირების შემდეგ ქალაქი ცეცხლშია გახვეული. ფრედ რიკსტადიდან მიმავალი გზები ლტოლვილებითაა გაჭედილი. სტრემსტადიდან (შვეციის ქალაქი ნორვეგიის საზღვარზე) იუწყებიან, რომ გუშინდელი ღამე ზღვაში მეტად მშფოთარე იყო. შუაღამისას ქალაქში ძლიერი კანონადა ისმოდა. დასავლეთით ცა განათებულია შუქიანი ყუმბარებითა და პროჟექტორებით. ფიქრობენ, რომ იქ დიდი საზღვაო ბრძოლაა გაჩაღებული. გუშინ, დილით, სტრემსტადის შორიახლო ტორპედირებულია გერმანიის ტრანსპორტი.

ბრძოლა ჰაერში

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთებმა საზვერავი ფრენა მოახდინეს ნორვეგიისა და დანიის ტერიტორიული წყლების რაიონში. ყუმბარმშენთა ერთი შენაერთი ქრისტიანზანდის ფიორდში შეიჭრა და ყუმბარა დაუშინა გერმანიის სამხედრო გემებს. მოწინააღმდეგემ გრიგალისებური ცეცხლი შეაგება ინგლისის თვითმფრინავებს. ინგლისის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანიის 4 ავიაგამანადგურებელი. ვარაუდობენ, რომ განადგურებულია გერმანიის კიდევ ორი და დაზიანებულია რამდენიმე თვითმფრინავი.

ინგლისელებს გაუნადგურეს 8 თვითმფრინავი. სხვა ორი თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნებისას გზაში დაიღუპა.

მდგომარეობა შვეციაში

ნიუ-იორკი, 12 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, შვეციის ხელისუფალთ გამოაცხადეს საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც გრძელდებოდა 11 აპრილს მთელ ღამეს. მთელი შვეცია ჩაბნელებულ იქნა. ჰალმსტადსა და მალმეში ჩატარდა ყველა სამხედროთა და პოლიციელთა მობილიზაცია. შვეციამ საჩქაროდ დანაღმა თავისი ტერიტორიული წყლები მთელი სანაპიროს გასწვრივ. მათ შორის კატეგატის სრუტის სანაპირო გეტებორგის ჩრდილოეთითა და სამხრეთით.

○

ვაშინგტონი, 12 აპრილი (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებულმა შვეციის მისიამ გამოაცხადა, რომ შვეციის ყველა სავაჭრო გემს ნავსადგურებში დარჩენა ებრძანა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალმა გემებმა ბრძანება მიიღეს დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ შვეციაში.

ბულგარეთის პრესა მაიაკოვსკის შესახებ

სოფია, 13 აპრილი (საკდესი). ბულგარეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავს.

გაზეთმა „ზარია“ დღეს მთელი გვერდი მიუძღვნა დიდი პოეტის ხსოვნას.

მარკო მარჩევსკი სტატიაში „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ სწერს: „მაიაკოვსკის პოემების, ლექსების, ეპიგრამებისა და დრამების ძალა ის არის, რომ პოეტმა სწორუპოვარი გენიალობით დასვა და გადასწყვიტა მწვავე საზოგადოებრივი პრობლემები. უაღრესი პოეტურობა, სურათოვნობა და ორიგინალობა, ისე როგორც მთელი რიგი სხვა ღირსებანი მისი პოეზიისა, უდიდეს ძალას ანიჭებენ მაიაკოვსკის შემოქმედებას. მისი ლექსები წარმოადგენენ რუსული პოეზიის უდიდეს მიღწევას“.

ლამარი თავის სტატიაში აღნიშნავს: „ვლადიმერ მაიაკოვსკი რუსეთის რევოლუციის პოეტი არის“.

მწერალი ლიუდმილ სტოიანოვი სტატიაში „მაიაკოვსკის მნიშვნელობა“ სწერს: „მაიაკოვსკის პოეზია სწვდება მთელ ჩვენს თანამედროვეობას, ასახავს ეპოქის დინამიკას; ეს პოეზია დიდებულად იჟღერებს მომავალშიც. მაიაკოვსკი ცდილობდა გაეგო და სავსებით გაიგო, რომ ის ახალი რამ, რაც ოქტომბრის გადატრიალებასთან ერთად მოვიდა, არ შეიძლებოდა სიმართლით ასახულიყო ტრადიციული პოეზიის ძველი იამბიკოებითა და ქორეით. მაიაკოვსკიმ მკაფიო, მძლავრი და დაუვიწყარი სურათებით დაგვიხატა თანამედროვე ეპოქის სიდიადე და მისი კავშირი მომავალთან“.

გაზეთ „ზარიაში“ გამოქვეყნებულ სხვა სტატიებში მოყვანილია ანალიზი პოეტის შემოქმედებითი გზისა და მისი მძლავრი ტალანტისა, რომელიც რევოლუციას, პარტიასა და სამშობლოს ემსახურება.

გაზეთი ანალიზს უკეთებს აგრეთვე დრამატურგ მაიაკოვსკის შემოქმედებას.

გარდა ამისა, გამოქვეყნებულია მაიაკოვსკის ნაწარმოებთა ნაწყვეტები, მოსკოვის მუზეუმის აღწერა და პოეტის პორტრეტი.

გერმანიის ახალი ჯარის ჩასვლა ნარვიკში

ბერლინი, 13 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინღამ ნარვიკში ჩავიდა გერმანიის ახალი ჯარი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ნარვიკზე

ბერლინი, 13 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის საჰაერო შენაერთები თავს დაესხნენ ნავსადგურ და ქალაქ ნარვიკს. გერმანიის საჰაერო თავდაცვამ ძლიერი სროლით უპასუხა. მოწინააღმდეგე დასავლეთი მიმართულებით მიიმალა.

კუტის ჩასვლა შვეციაში

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტი, იმოწმებს რა გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერს“, იუწყება, რომ ნიუგორდსვოლდის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი კუტი შვეციაში ჩავიდა.

მდგომარეობა ოსლოში

ოსლო, 13 აპრილი (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოსლოს მუნიციპალიტეტის ცნობა სურსათის მიწოდების შეზღუდვის შესახებ. მოსალოდნელია საბარათო სისტემის შემოღება. გამოქვეყნდა ოსლოსა და აკერსჰუსის პოლიცმაისტერის განკარგულება უცხოელთა შესვლის აკრძალვის შესახებ. გამონაკლისი ენიჭებათ შვედებს, დანიელებს, ფინელებსა და ისლანდიელებს.

გერმანიის ჯარის რიცხვმა ოსლოში საგრძნობლად მოიმატა, ისინი სკოლებსა და საზოგადოებრივ შენობებში დაბინავდნენ.

ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრი უარყოფს

ნიუ-იორკი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო სანტ-იაგოდან იუწყება, ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარჰყო ცნობა იმის შესახებ, რომ ჩილი გერმანიის მთავრობის თხოვნით ნორვეგიის გემების ინტერნირებას ახდენს. შემდეგ მინისტრმა განაცხადა, ჩილი ნეიტრალიტეტს იცავსო. სააგენტო აღნიშნავს, რომ დღეს ჩილიში ჩადის ნორვეგიის გემი, რომელსაც გერმანული მოწყობილობა ჩააქვს ჩილის რკინიგზებისათვის.

„შეფარტსტიდენდე“ ისლანდიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ

ოსლო, 13 აპრილი (საკდესი). გაზეთი „შეფარტსტიდენდე“ იუწყება, რომ ისლანდიამ არსებულ მდგომარეობაში თავი დანიისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 13 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 11 აპრილს ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა გერმანიის გემებზე ოსლო-ფიორდის რაიონში გერმანიის ბალტიის სანაპირომდე. ერთი დიდი გემი დაიღუპა. დიდი ბელტის სრუტეში ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის გემთა ქარავანს. ფიქრობენ, რომ დაზიანდა ერთი გემი 5.000 ტონა წყალწყვისა.

მიმართვა ნორვეგიის საზღვაო ოფიცრებისადმი

ოსლო, 13 აპრილი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა მიმართვა ნორვეგიის საზღვაო ოფიცრებისადმი; ეს მიმართვა მათ მოუწოდებს დაბრუნდნენ ნორვეგიაში, რადგან ბრძოლის განგრძობა უმიზნოა. საზღვაო გემებმა უნდა შესწყვიტონ საომარი მოქმედება. (საკდესი).

ვ. მაიაკოვსკის ერთტომეული

ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავისათვის სახელგამმა გამოსცა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული. წიგნი გამოცემულია ორდენოსანი პოეტის ი. აბაშიძის რედაქციით და დართული აქვს მისივე შესავალი სტატია.

ერთტომეულში შევიდა ვ. მაიაკოვსკის 21 ლექსი, აგრეთვე მისი პოემები: „შარვლიანი ღრუბელი“, „მიყვარს“ და „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

ლექსები და პოემები ქართულ ენაზე სთარგმნეს მ. პატარიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, ი. აბაშიძემ, ი. მოსაშვილმა, ვ. გორგაძემ, გ. გაჩეჩილაძემ, კ. ბობოხიძემ, ჰ. ნადირაძემ, დ. გაჩეჩილაძემ. (საქდესი).

თბილისის დინამოელთა გამარჯვება

თბილისში წრთვნისათვის ჩამოვიდა მოსკოვის სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის“ ოსტატთა გუნდი.

14 აპრილს ამხანაგური თამაშის დროს სტუმრები შეხვდნენ თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდს.

ოსტატთა გუნდების პირველი საქალაქთაშორისო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:1 თბილისის დინამოს სასარგებლოდ.

დღეს თეატრებში

სახოპერა — „ჯამბაზები“, „ყვიჩაღური ცეკვები“ (4 აბ. 12 წარმ.), **რუსთაველის სა**ხელობის — „უდანაშაულო დამნაშავენი“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „მადამ სანჟენ“, **მუსკომედია** — „ესპანელი მღვდელი“, **მოზარდ მაყ. თეატრი** — „კომბლე“.

თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორთა თათბირი

მოწვეულია გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე (ლენინის ქ. № 28, ოთახი—16) დღეს, 15 აპრილს, საღამოს 8½ საათზე.

თათბირზე მოწვეული არიან მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები ამხ. **თ. მღებრიშვილი** („ჩვენი საყვირი“), **ვ. სიხარულიძე** („ბიუგელი“), **გ. ჩარაევი** („თბილისის მაუდელი“), **გ. მღებრიშვილი** („სტახანოველი“), **გ. იარალოვი** („ფეიქარი“), **შ. ჯანუაშვილი** („საბჭოთა მილიციელი“).

რედაქტორებს გარდა თათბირს უნდა დაესწრონ რედაქციის დანარჩენი მუშაკები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

უკანასკნელი ცნობები

საომარი ოპერაციები ნორვეგიის ნაპირებთან

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის საესკადრო ნაღმოსანთა მეორე ფლოტილიას, რომელიც ნორვეგიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან მოქმედებს, მიუვიდა მაშველი ძალები და ფიორდ-ნარვიკის ბლოკადა მოახდინა. გუშინ ინგლისის სახაზო გემმა „უორსპაიტმა“, რომელსაც დიდძალი საესკადრო ნაღმოსნები ახლდა, გაარღვია გერმანიის ნაღმღობურა და ღრმად შეიჭრა ფიორდში. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები თავს დაესხნენ ფიორდში თავშეფარებულ გერმანიის საესკადრო ნაღმოსნებს და ჩააჩუმეს გერმანელების მიერ ნარვიკში დადგმული სანაპირო ბატარიები. ლონდონში მიღებული ცნობის თანახმად ჩაძირულ იქნა გერმანელთა 7 საესკადრო ნაღმოსანი. ინგლისის სამი საესკადრო ნაღმოსანი უმნიშვნელოდ დაზიანდა. ცნობაში აღნიშნულია, რომ ამჟამად შეუძლებელია ზუსტად იქნას გამორკვეული ადამიანთა დანაკლისი ინგლისისა და გერმანიის გემებზე.

გერმანიის ჯარის ოპერაციები ნორვეგიაში

ნიუ-იორკი, 14 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ნორვეგიის მისიის წარმომადგენელმა სტოკჰოლმში განაცხადა, რომ გერმანიის ჯარმა, რომელიც ტრონჰეიმის სამხრეთით გაემართა, დაიკავა სორენი და თავის კონტროლ ქვეშ აქვს ტრონჰეიმ-ფიორდისაკენ მიმავალი გზები.

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ჩრდილოეთის ზღვაზე ფრენის დროს გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩაძირეს ინგლისის ორი წყალქვეშა ნავი. 12 აპრილს საჰაერო ბრძოლაში ნორვეგიის ნაპირებთან ინგლისელებმა დაჰკარგეს 10 თვითმფრინავი, გერმანიის ავიაციამ — 5.

ინგლისისა და საფრანგეთის მისიების წასვლა კოპენჰაგენიდან

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო, იმოწმებს რა დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას, გადმოგვცემს, რომ დღეს კოპენჰაგენიდან გაემგზავრნენ ინგლისისა და საფრანგეთის მისიები დანიაში. ამერიკის შეერთებული შტატების მისიამ დანიაში იკისრა დაიცვას დანიაში ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესები.

ნორვეგიის სამხედრო გემების ინტერნირება

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ ინტერნირებულია ნორვეგიის სამხედრო გემები, რომელნიც ჩავიდნენ გერმანიის ჯარის მიერ დაკავებულ ნორვეგიის ნავსადგურებში. ამ გემების ეკიპაჟები გერმანელებით შესცვალეს.

გერმანიის გემების ხელთ გდება

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისში ჩაიყვანეს გერმანიის სამი ტრალერი, რომლებიც ხელთ იგდეს ნორვეგიის სანაპიროსთან.

მდგომარეობა სკაგერაკის სრუტეში

ლონდონი, 14 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, შვეციის სააგენტო იუწყებოდა, რომ გუშან საღამოს სკაგერაკის სრუტეში შედარებით სიწყნარე იყო. ღამით დასავლეთში შენიშნეს სინათლის სიგნალები.

ოსტერზუნდიდან მიღებული ცნობებით, სარკინიგზო მიმოსვლა ტრონჰეიმსა და შვეციას შორის არ შეწყვეტილა, მაგრამ მატარებლები დიდი დაგვიანებით დადის. გაზეთ „ოსტერზუნდს პოსტენის“ ცნობით ტრონჰეიმის რაიონში სიწყნარეა.

ისლანდიის მთავრობის გადაწყვეტილება

ბერლინი, 14 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ისლანდიის დესპანმა დანიაში თავისი მთავრობის დავალებით დანიის მეფესა (დანიის მეფე იმავდროულად ისლანდიის მეფეც არის) და საგარეო საქმეთა სამინისტროს ისლანდიის ალტინგის (პარლამენტი) გადაწყვეტილება გადასცა.

ვიღებთ რა მხედველობაში, ნათქვამია ამ გადაწყვეტილებაში, რომ ახლანდელი მდგომარეობა ისლანდიის მეფეს არ აძლევს საშუალებას განახორციელოს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ხელისუფლება, ისლანდიის ალტინგი აცხადებს, რომ ამიერიდან შემდგომ მითითებამდე ავალებს ისლანდიის მთავრობას განახორციელოს ეს ხელისუფლება. იმის გამო, ნათქვამია შემდეგ, რომ ახლანდელ ვითარებაში დანიას არ შეუძლია განახორციელოს ისლანდიის საგარეო ურთიერთობა, რაც გათვალისწინებულია უნიის შესახები ხელშეკრულების მე-7 პარაგრაფით, ისლანდიამ გადასწყვიტა იკისროს თავისი საგარეო პოლიტიკური საქმეების წარმოება. დანიის მეფემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხეს ისლანდიის დესპანს, ჩვენ ისლანდიის გადაწყვეტილება იმ ბუნებრივ ღონისძიებად მიგვაჩნია, რომლის გატარებაც აუცილებელია შექმნილს ვითარებაში.

განცხადება ჰოლანდიის ნეიტრალიტეტის შესახებ

პარიზი, 14 აპრილი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან კლეფენსმა სტეფანის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა — ჰოლანდიას განზრახული აქვს უმტკიცესი ნეიტრალიტეტი დაიცვას ევროპის კონფლიქტში. მინისტრმა მოაგონა მას, რომ ომის დასაწყისში მეომარმა ქვეყნებმა ჰოლანდიას აღუთქვეს — პატივისცემით მოვეპყრობით შენს ნეიტრალიტეტსო. დასასრულ მან განაცხადა: „თუ ჰოლანდიას თავს დაესხმიან, იგი მთელი ენერგიით დაიცავს თავს“.

ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1940 წლის 28 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ინსტიტუტის I კორპუსის კლუბში (მარის ქ., № 35) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც დისერტაციას დაიცავენ:

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის მეცნ. მუშაკი **აკაკი ალექსის-ძე ჯანაშია**—თემაზე: **„ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემის განვითარება დასავლეთ საქართველოს ნიადაგების მთავარ სხვაობათა მიხედვით“.**

ოფიციალური ოპონენტი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი: პროფ. **ტ. ჟ. კვარაცხელია.**

2. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ინსტიტუტის თანამშრომელი უფროსი მეცნ. მუშაკი **გრიგოლ გიორგის-ძე მოქია**—თემაზე: **„თუთის აბრეშუმხვევის** (Bombyx mori) **კვერცხის დების საკითხის შესწავლისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: ს. მ. მ. კანდიდატი დოც. **ი. ბათიაშვილი,** სოფ. მეურნეობის მეც. დოქტორი: პროფ. **ლ. კალანდაძე.**

მსურველებს შეუძლიანთ შრომებს გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

546

ინსტიტუტის დირექტორი დოც. გელაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 10 თებერვლის № 438 დადგენილების თანახმად, ცხადდება საქართველოს ხაფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატთან არსებული

„ი. ტ. და სამ. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის“

ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა.

პრეტენზიები მიიღება 1940 წლის 20 აპრილამდე (თბილისი, მთავრობის სახლი, 1-ლი სართული, ოთახი № 27 ტელ. 3-36-46).

5849

მეუღლე ვერა, რძალი ფატმან, ძმისწულები გრიგოლ, ვლადიმერ, ვალერიან, ალექსანდრე, დავით, უჩა ჯაფარიძეები ოჯახებით იუწყებიან

აპოლონ ნესტორის-ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ონში 16/IV.

6002

დედა ბარბალე, ცოლი ვერიჩკა, შვილები რუსიკო, ვენერა, ძმები სიმონ, ვასილ ცოლშვილით იუწყებიან

კოლია ნიკოს-ძე ლებანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/IV გამოსვენება 16/IV კიროვის, 14 კუკიის სასაფლაოზე.

6007

მეუღლე ანა, შვილები ხარიტონ, გრიგოლ, შალვა, ნოე, რძლები ნადია, შურა, მარო, შვილიშვილები იუწყებიან

მიხეილ ბეჟანის-ძე თელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/IV 5 ს. ს. ჭაგანში (სამტრედიის რაიონი).

6005

საქართველოს შამპანიური კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან მანია ჯანდიერის დედის

თამარ ჯანდიერის

გარდაცვალებას.

6009

და მარიამ ბაქრაძე, დისწულები შალიკო, ნადია, გიგა იუწყებიან

აპოლონ ნესტორის-ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ონში 16/IV.

5998

ბებია ანა, ბიძა ალიოშა, დეიდები მარო, ნინო ქმარშვილით თამარ, ბაბუცა ჩხეიძეები იუწყებიან საყვარელ

დოდო ხუციშვილის

გარდაცვალებას.

5983

პროფესორები ხაჰაპურიძე, ნამორაძე, დოც. ცინცაძე, ფირცხალაიშვილი, ცაგარეიშვილი, მელქაძე, ჩიხვაშვილი, ასპირანტები ბარამია, ბრეგვაძე, ნიკოლაიშვილი, კაჭარავა, ზედანია, რამიშვილი, მატარაძე, ისტორიის ფაკულტეტიდან მენაბდე, წერეთელი, დავითაია იუწყებიან ი. ხუციშვილის შვილის

დ ო დ ო ს

გარდაცვალებას.

5973

მეუღლე ნადია, შვილები არჩილ, ეთერ, ვაჟა იუწყებიან

ნოე ალმასხანის-ძე ელენტის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/IV 7 ს. ფალიაშვილის, 7. დაკრძალვა 16/IV 5½ ს. ვაკის სასაფლაოზე.

6001

მამა ვასილ, დედა შარინოზი, ძმა გიგუცა, დები სონია, მარუსა, ელენე, რიმა, თინა იუწყებიან საყვარელი ძმის

არჩილ ვასილის-ძე ფცქიალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/IV 4 ს. ს. ჭარტალში.

6003

საქ. განსახკომის ფიზ. აღზრდის ინსპექცია და ბავშვთა სასპორტო სკოლა იუწყებიან ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე პროკოფიევის მეუღლის

ზ ო ი ა ს

გარდაცვალებას.

6000

ანდრო გაბადაძე, ეთერ და შალვა მიროტაძეები დედით მინადორათი თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობრებს ეთერის და აჩიკოს მათი საყვარელი მამის

ნ ო ე ე ლ ე ნ ტ ი ს

გარდაცვალების გამო.

5999

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები სა- პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

იმ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—151